დანართი №2

სსიპ კოლეჯ „ფაზისის“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

თავმჯდომარე: მანანა მახარაშვილი

წევრები: ქეთევან ღვანიძე

თბილისი, 2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: *კოლეჯი „ფაზისი“*

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: *საჯარო სამართლის იურიდიული პირი*

საიდენტიფიკაციო კოდი: *215101716*

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ კოლეჯში „ფაზისი“ ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდეგში „ცენტრი“) დირექტორის 2023 წლის 10 თებერვლის ბრძანების №MES 1 23 0000152959 საფუძველზე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, კოლეჯის მიერ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სკოლამდელი აღზრდა" დამატებასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.

პსდ-ში ვიზიტი განახორციელდა 2023 წლის 17 თებერვალს, ექსპერტთა შემდეგი შემადგენლობით: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები - მანანა მახარაშვილი (თავმჯდომარე) და დარგის ექსპერტი ქეთევან ღვანიძე.

ვიზიტამდე, ექსპერტების მიერ, წინასწარ იქნა შესწავლილი დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია. შესწავლილი დოკუმენტაციისა და არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, შედგა დღის წესრიგი, რომლის საფუძველზე შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა კომპონენტი. ვიზიტის დროს განხორციელდა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელი პოტენციური ობიექტის დათვალიერება, გასაუბრება შედგა ასევე პროგრამის განმახორციელებელ პარტნიორთან, ხობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან.

ექსპერტთა მიერ, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევში საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განხორციელების პირობების შესაბამისობა, „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან, შეფასდა დადებითად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

–

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წარმოებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები წინა ვიზიტის დასკვნაში არ არის დაფიქსირებული.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირდა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

სასურველია:

2.1.1. (1)

- პსდ-მ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტში ასახოს სრულყოფილი ინფორმაცია/ანალიზი, საკანონმდებლო მოთხოვნები, სტატისტიკური მონაცემები რეგიონულ ჭრილში და არ შემოიფარგლოს მხოლოდ კორესპონდენციით.

2.1.1. (4)

- პსდ-მ უზრუნველყოს, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნათა გათვალისწინებით, კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასების წესის შემუშავება.

2.1.1.(8)

- საგანმანათლებლო პროგრამაში მიეთითოს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესი და პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად პროგრამის განხორციელების ფორმა (მუხლი 3; მუხლი 4.) და შუალედური შეფასების შესახებ ინფორმაცია (მუხლი 6.).
- კორექტირდეს პროგრამაში კვალიფიკაციის მინიჭების პირობების შესახებ ჩანაწერი (პ. 11). დაემატოს ინფორმაცია საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობის და კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობის შესახებ.
- საგანმანათლებლო პროგრამაში მუხლი/პუნქტის სათაური ასახავდეს მის შინაარს სრულად.

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

სასურველია:

2.2.1. (1)

- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს თან ერთვოდეს ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ნუსხა.

2.2.1. (2)

- პსდ-სა და პროფესიული განათლების მასწავლებლის შორის გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში, მითითებულ იქნას სამუშაოს შესრულების ადგილი;
- პსდ-მ უზრუნველყოს ტექნიკური უზუსტობის აღმოფხვრა და შესაბამისობაში მოიყვანოს საგანმანათლებლო პროგრამის დანართი განმახორციელებელი პირების შესახებ, შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ჩანაწერთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.(5)

- საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, პსდ-მ უზრუნველყოს სასწავლო რესურსის ელექტრონული მისამართების მითითება მოდულების ჩანაწერებში.

2.2.1.(7)

- შემუშავდეს პროგრამის ბიუჯეტის შედგენის, მასში ცვლილების განხორციელების წესი, სადაც აისახება სავარაუდო ხარჯების იდენტიფიცირების, რენტაბელობის განსაზღვრის და პროგრამის ბიუჯეტის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მექანიზმები.

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

სასურველია:

2.3.1. (1)

- *დაწესებულებამ უზრუნველყოს ისო 9001:2015 სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების პსდ ავტორიზაციის სტანდარტებთან ინტეგრირება და ერთიანი ხარისხის მართვის სისტემის ფორმირება; განსაზღვროს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის სიხშირე/პერიოდულობა, პროცესზე/პროცესებზე პასუხისმგებელი პირი/პირები.*

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

სასურველია:

2.4.1.(3)

- საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განხორციელების მიდგომებსა და სწავლების მეთოდებში სასურველია აისახოს სწავლების ის მეთოდები, ტექნოლოგიები, რასაც რეალურად განხორციელების პროცესში იყენებენ პედაგოგები.

2.4.2 (1)

- შეფასების პროცესის სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით, პსდ-მ უზრუნველყოს განმეორებითი შეფასებისას განსხვავებული ინსტრუმენტის/სხვა ვარიანტის შეთავაზება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პსდ-მ უზრუნველყოს საჩივრის კოლეგიური წესით განხილვა. რედაქტირდეს ჩანაწერი შეფასების შედეგების გასაჩივრების წესში და პროფესიულ სტუდენტს მიეცეს პსდ-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება.

ექსპერტების მიერ გაცემული ზოგადი შინაარსის რეკომენდაცია

პსდ-მ უზრუნველყოს შიდა დოკუმენტებზე (პროცედურებზე), მათ დანართებზე, მათ შორის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებზე, დამტკიცების რეკვიზიტების/გრიფის გაფორმება საქმისწარმოების ერთიანი წესების მოთხოვნების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტების ვალიდურობასა და მიკვლევადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	სკოლამდელი აღზრდა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 09 მარტის ბრძანება №01/15; ცვლილების აქტი - კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 20 იანვრის ბრძანება №01/01
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოჯიხევი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	15
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	**სრული 3**	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	**სრული 3**	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

დაწესებულების თვითშეფასების დოკუმენტით ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასებული იყო კრიტერიუმით „შეესაბამება“. ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან, სსიპ კოლეჯ „ფაზისი“-ს საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ შესაბამისობა, დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს შემუშავებული აქვს პროცედურა „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომლის თანახმად პროფესიული პროგრამის დამატების შესახებ ინიცირება ხდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წერილობითი ფორმით. ინიცირების საფუძველზეც კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, მოიპოვებს ინფორმაციას და წარადგენს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას. დოკუმენტში განსაზღვრულია ასევე მიზანშეწონილობის დასაბუთების გარემოებები: კოლეჯის სამოქმედო არეალში კვლევებით დადასტურებული მოთხოვნა ან პროგნოზი კონკრეტულ უნარებსა და სამუშაო პოზიციებზე, უშუალოდ დამსაქმებლების ინიციატივები, პირველად ან მეორადი წყაროების კვლევის შედეგები და სტატისტიკური მონაცემები რეგიონული შრომის ბაზრის საჭიროებების შესახებ, როგორც უშუალოდ პსდ-ის მიერ, ისე სხვა დაწესებულების მიერ ჩატარებული. შეხვედრები დამსაქმებლებთან, გადაწყვეტილება პროგრამათა სპექტრის გაფართოების შესახებ და სხვა არსებითი არგუმენტირებული გარემოებები.

პროგრამის დამატების ინიციატივას და მიზანშეწონილობას იხილავს კოლეჯის დირექტორი მოადგილესთან, ხარისხის მართვის მენეჯერსა და დარგის სპეციალისტებთან ერთად. გადაწყვეტილებას, პროგრამის დამატებისა და განხორციელების მიდგომის შესახებ, ღებულობს კოლეჯის დირექტორი, რაც ასევე უნდა ეფუძნებოდეს კოლეჯის მისიასა და სამოქმედო გეგმებს. დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე, დირექტორის მიერ გამოცემული აქტით, იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც კომპლექტდება შესაბამისი დარგობრივი პროფესიული განათლების მასწავლებლებითა და სპეციალისტების, ასევე კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებით. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული და ადაპტირებული პროფესიული პროგრამის პროექტი საჭირო დანართებით განსახილველად გადაეცემა ხარისხის მართვის მენეჯერს, რომლის დადებითი დასკვნის შემთხვევაშიც დასამტკიცებლად წარედგინება დაწესებულების დირექტორს.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია დადგენილი პროცედურის დაცვით და შეესაბამება პსდ-ის გაცხადებულ მისიას, **წვლილი შეიტანოს ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებასა და წინსვლაში, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული შესაბამისი კვალიფიციური და მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე კადრების მომზადების თვალსაზრისით.** მისიისა და პსდ-ის ადმინისტრაციის განცხადებით, სკოლამდელი აღზრდის საფეხურზე მიმდინარე რეფორმებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, კოლეჯმა 2021 წელს მიიღო გადაწყვეტილება „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული პროგრამის დამატების შესახებ, რომელსაც უკვე წარმატებით ახორციელებს. 2022 წელს, კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ გაიმართა შეხვედრა ხობის მუნიციპალიტეტის მერიასთან (შესაბამისი მასალა განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდსა და სოციალური ქსელში 19.10.2022). კოლეჯის მიერ ასევე იქნა წარმოდგენილი ხობის მუნიციპალიტეტთან მიმოწერა (№50-502225239, 09.09.2022 წ.;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

MES4220000915, 17.08.2022 წ. №42-42210715, 12.03.2021 წ.). აღნიშნულ კორესპონდენციაში პსდ-ს კოლეჯი ადრესატს აცნობს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებს, შინაარსს, შესაძლებლობებს, რომ მომზადდეს/გადამზადდეს სკოლამდელი აღზრდის საფეხურზე კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრები. ასევე სთხოვს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციას, საგანმანათლებლო პროგრამის მუნიციპალიტეტებისათვის აქტუალობისა და თანამშრომლობის მზაობის დადასტურებას. საპასუხო კორესპონდენციაში მერი ადასტურებს აღნიშნული მიმართულებით კვალიფიციური კადრების საჭიროებასა და აცხადებს მზაობას, მუნიციპალიტეტში არსებულ სააღმზრდელო დაწესებულებებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ხელშეწყობის შესახებ.

საგანმანათლებლო პროგრამის სპექტრის გაფართოება განსაზღვრულია ასევე პსდ-ს 2018-2023 წლების სტრატეგიული გეგმის დოკუმენტით - *სტრატეგიული მიზანი 1. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის განვითარება, სტრატეგიული ამოცანა 1.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და სპექტრის გაფართოება.* აღსანიშნავია გარემოება, რომ წარმოდგენილ დოკუმენტს არ აქვს დამტკიცების რეკვიზიტები/გრიფი.

ვიზიტის დროს აღნიშნულ საკითხებთან გასაუბრება განხორციელდა პსდ-ის ხელმძღვანელთან, რომელმაც აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საჭიროების იდენტიფიცირების მიზნით, ზემოთ აღნიშნულთან ერთად, ჩატარდა კვლევა, შეხვედრები დამსაქმებლებთან. დამატებით არგუმენტად განხილული იქნა ასევე გამოცხადებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტების მაღალი მაჩვენებელი. სასურველია დაწესებულების მხრიდან არსებობდეს პროფესიული პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების ერთიანი დოკუმენტი, სადაც დაწესებულება განმარტავს და დაასაბუთებს პროგრამის დამატების ყველა ზემოაღნიშნულ საჭიროებას და არ შემოიფარგლება მხოლოდ კორესპონდენციით.

შესწავლილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, პსდ-ის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ, ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტში ასახოს სრულყოფილი ინფორმაცია/ანალიზი, სადაც ასახული იქნება საკანონმდებლო მოთხოვნები, სტატისტიკური მონაცემები რეგიონულ ჭრილში და არ შემოიფარგლოს მხოლოდ კორესპონდენციით.

2. სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებზე დამტკიცების გრიფის/რეკვიზიტების გაფორმება.

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.** საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების დაშვების წინაპირობების და სტატუსის მოპოვება რეგულირდება პსდ-ს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (მუხლები: 3; 4). პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სკოლამდელი აღზრდა“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტის (02117-პ) მოთხოვნასთან. პროგრამაზე განსაზღვრულია ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; რაც დასტურდება პსდ-ს დოკუმენტაციით. ექსპერტების მიერ შერჩევითი პრინციპით შემოწმდა კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე, რითიც დადასტურდა, რომ ჩარიცხული პირის, წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს, პროგრამის განხორციელების ვადაში, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, რომლის დროსაც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს, აღჭურვილობას, საჭირო სასწავლო გარემოს, პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტების რაოდენობასა და რესურსს და ა.შ. დოკუმენტით განსაზღვრულია ასევე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ცვლილების/დამტკიცების ადმინისტრირების საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამაზე „სკოლამდელი აღზრდა“ პსდ-ს განსაზღვრული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა 15 პროფესიული სტუდენტით. პსდ-ში საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი რესურსი შესაძლებლობას იძლევა მიიღოს განსაზღვრული ზღვრული ოდენობა (15 პროფესიული სტუდენტი).

წარმოდგენილ დოკუმენტს „სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (განაცხადის დანართი 13) წარმოადგენს სხვა დოკუმენტის დანართს. დოკუმენტს არ აქვს დამტკიცების გრიფი/რეკვიზიტები. პსდ-მ უზრუნველყოს შიდა დოკუმენტაციის გაფორმება დადგენილი საქმისწარმოების მოთხოვნების გათვალისწინებით.

შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით.

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
<u>სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს დოკუმენტაციისა და დანართების საქმისწარმოების ერთიანი წესების მოთხოვნების გათვალისწინებით გაფორმება და სრულად დაიტანოს დოკუმენტებზე დამტკიცების რეკვიზიტები/გრიფი.</u>

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია პსდ-ის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. კოლეჯის მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსი. აღნიშნული რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა მიერ მოდულების მიხედვით შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული ლიტერატურა, როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და დადგინდა, რომ შესაძლებელია მათი გამოყენება სასწავლო პროცესში. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მოდულებს: „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით პსდ-ს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ხობის მუნიციპალიტეტის მერიასთან (18.10.2022 წ.) მემორანდუმის თანახმად მერია მზადყოფნას გამოთქვამს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯის სტუდენტებისთვის გამოყოს მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოების დაცვა.

ვიზიტის დროს გასაუბრება განხორციელდა ხობის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასთან და ასევე მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან. გასაუბრებისას, პოტენციური პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, მზაობა გამოთქვა პროფესიული სტუდენტების მიღებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში აღსაზრდელთა ყველა ასაკობრივი ჯგუფია დაკომპლექტებული. მერიის წარმომადგენელმა აღნიშნა რომ გარდა აღნიშნული ბაგა-ბაღისა, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის მზადაა მუნიციპალიტეტში არსებული ყველა ბაღი. მემორანდუმს არ ახლავს ბაგა-ბაღების ნუსხა.

მერიის წარმომადგენელთან გასაუბრებით, პსდ-ს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი სუბიექტები აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს. თუმცა ამავე დადგენილების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად პსდ-ს არ აქვს დადგენილი კოოპერაციული სწავლების განმახორციელებელი სუბიექტისთვის დადგენილებით განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასების წესი.

ფაქტობრივი გარემოებების, პსდ-ს წარმოამდგენლებთან და პარტნიორებთან გასაუბრების საფუძველზე, პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
<u>სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა გათვალისწინებით, კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასების წესი.</u>

5. საგანმანათლებლო პროგრამას არჩევითი მოდულები არ აქვს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის, პსდ-ის დირექტორის მიერ (ბრძანება #01/15, 2021 წლის 9 მარტი „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“), ხოლო ცვლილება განხორციელებულია 10.01.2023 წელს (ბრძანება ა# 01/01 „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში „სკოლამდელი აღზრდა“ ცვლილების შეტანის შესახებ“), ცვლილება შეეხო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის დამატებას.

   პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია დაწესებულების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიით“ (მუხლი 5) ,აღნიშნულიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

7. პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის „აღმზრდელი“ საფუძველზე, რომლითაც განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „სკოლამდელი აღზრდა“, შესაბამისია პროგრამის შინაარსის, პროგრამით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგების და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებით დამტკიცებული “აღმზრდელის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პარტნიორები. მოდულების „გაცნობითი პრაქტიკა“ და „პრაქტიკული პროექტის“ შინაარსი და მიზნები. პსდ-ის მიერ, წარმოდგენილ დამტკიცებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია, თუმცა ექსპერტთა მიერ გაიცა გარკვეული რეკომენდაციები ტექნიკურ ხარვეზებთან და ჩანაწერების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს თეორიული და პრაქტიკული სწავლების კომპონენტებს. ასევე, ქართული ენის მოდულების (A2; B1) სავალდებულოდ გავლას იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად, პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 116 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა – 21 თვე), ხოლო არა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 146 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა - 26 თვე).

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტების წინაპირობები, გათვალისწინებულია სწავლის შედეგების შესაძლო აღდგენა-ჩაბარებისთვის გონივრული ვადა. პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული არაა პროგრამის განხორციელების ფორმა. პროგრამის/მოდულების და გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის შინაარსის მიხედვით, პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული წესით. ექსპერტთა რეკომენდაციით, დაინტერესებული პირებისთვის სრული ინფორმაციის მიწოდების მიზნით, პროგრამაში სასურველია აღინიშნოს განხორციელების მიდგომა და განსაზღვრული იყოს მოდულების/სწავლის შედეგების ნუსხა, რომელთა განხორციელებაც მოხდება პარტნიორი დაწესებულებების თანამონაწილეობით ან ინფორმაციას აისახოს კონკრეტული მოდულების განხორციელების შესახებ ჩანაწერებში.

სასურველია კორექტირდეს პროგრამის მე-9 პუნქტის სათაური „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება“, სადაც მითითებულია პროგრამის განხორციელების ადგილებიც. გამომდინარე იქედან, რომ დოკუმენტის სტრუქტურა უნიფიცირებულია და ვრცელდება სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზეც, რომელთათვისაც შემუშავების საფუძველი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებელია , გარდა ჩარჩო დოკუმენტისა, სხვა ნორმატიული დოკუმენტებიც იყოს, სასურველია, სათაური იყოს ზოგადი, ამასთან მოიცავდეს პუნქტის შინაარსის შესახებ სრულ ინფორმაციას. რეკომენდებულია აღნიშნული პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე სათაური კორექტირდეს მაგ. „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველი და განხორციელების ადგილი“ ან სხვა.

პსდ-მ უზრუნველყოს პროგრამაში კვალიფიკაციის მინიჭების პირობების შესახებ ჩანაწერის (პ. 11) კორექტირება და შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესთან (კოლეჯის მარეგულირებელი წესი ,მუხლები: 21 და 22), კერძოდ დაემატოს ინფორმაცია საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობის და კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობის შესახებ.

შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს,

განმავითარებელი რეკომენდაცია:

- *სასურველია პროგრამაში მიეთითოს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესი და პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად პროგრამის განხორციელების ფორმა (მუხლი 3; მუხლი 4.) და შუალედური შეფასების შესახებ ინფორმაცია (მუხლი 6.).*
- *სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში მუხლი/პუნქტის სათაური ასახავდეს მის შინაარს სრულად.*
- *კორექტირდეს პროგრამაში კვალიფიკაციის მინიჭების პირობების შესახებ ჩანაწერი (პ. 11). დაემატოს ინფორმაცია საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობის და კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობის შესახებ.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. №0289 30/09.2022 სამსახურებრივი ბარათი, კარიერის დაგეგმვის მენეჯერი
2. №1681347 30/12/2022 პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის ანგარიში
3. სსიპ კოლეჯი „ფაზისი“-ს მისია
4. სსიპ კოლეჯი „ფაზისი“-ს სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები
5. ხობის მუნიციპალიტეტთან მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ 18.10.2022
6. ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასთან ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება 09.12.2022
7. სსიპ კოლეჯი „ფაზისი“-ს დირექტორის ბრძანება № 01/15 „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ (09.03.2021 წ.)
8. სსიპ კოლეჯი „ფაზისი“-ს დირექტორის ბრძანება №01/01 „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ საგანმანათლებლო პროგრამაში „სკოლამდელი აღზრდა“ ცვლილების შეტანის შესახებ (10.01.2023 წ.)
9. კოლეჯის „ფაზისი და ქ. ფოთისა და ხობის მუნიციპალიტეტების კორესპონდენცია;
10. სსიპ კოლეჯი „ფაზისი“-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
11. სსიპ კოლეჯი „ფაზისი“-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე
12. სსიპ კოლეჯი „ფაზისი“-ს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
13. სსიპ კოლეჯი „ფაზისი“-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია
14. სსიპ კოლეჯ „ფაზისი“-ს პერსონალთან, პოტენციურ პარტნიორებთან და ხობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „სკოლამდელი აღზრდა“ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა შეადგენს 15-ს. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება კოლეჯს დაგეგმილი აქვს ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოჯიხევში, სადაც კოლეჯის მფლობელობაშია არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №45.07.25.093, დაზუსტებული ფართობი 125 159 კვ. მ.), საიდანაც სასწავლო პროცესისთვის ამ ეტაპზე დატვირთულია ორსართულიანი ნაგებობა, რომელიც მოწყობილია და სრულად არის აღჭურვილი სასწავლო პროცესისთვის. მატერიალური რესურსის ფლობა დასტურდება პსდ-ს მიერ წარმოდგენილი შესყიდვის დოკუმენტაციით.

   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია 2 აუდიტორია:

- აუდიტორია №102 - A სასწავლო გარემო (30,6 კვ. მ.) თეორიული კომპონენტისთვის, სადაც მოწყობილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის სამუშაო ადგილი (მერხი, სკამი), 1 სამუშაო ადგილი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის (მერხი, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი ასლის გადაღების ფუნქციით). აუდიტორია აღჭურვილია დაფითა და სადემონსტრაციო საშუალებებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- აუდიტორია №201 - B სასწავლო გარემო (30,6 კვ.მ.) კომპიუტერული კლასი, სადაც მოწყობილია 20 პროფესიული სტუდენტისთვის სამუშაო ადგილით (მერხი, სკამი, ლეპტოპი), 1 სამუშაო ადგილი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის მასწავლებლისათვის (მერხი, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი ასლის გადაღების ფუნქციით). აუდიტორია აღჭურვილია დაფითა და სადემონსტრაციო საშუალებებით.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა B გარემოს გამტარუნარიანობა. აღნიშნულ მისამართზე, კოლეჯი ახორციელებს 9 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას („ფერმერი მემცენარე“ (მოდულური, ინტეგრირებული, საერთო კვოტა 40), „ელექტროობა“ (მოდულური, კვოტა 26), „აგრო მექანიზაცია“ (მოდულური, ინტეგრირებული, საერთო კვოტა 30), „მებაღეობა“ (მოდულური, ინტეგრირებული, საერთო კვოტა 30), „მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება (მოდულური, კვოტა 20), „ფერმერობა მეთევზეობაში“ (მოდულური, კვოტა 15), „თმის მომსახურება“ (მოდულური, კვოტა 20)), საერთო კვოტით 100 პროფესიული სტუდენტი. აღნიშნული პროგრამებით ისწავლება მხოლოდ ინფორმაციული წიგნიერების მოდული (მოდულის კრედიტების რაოდენობა 3). პსდ-ს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, კომპიუტერული კლასი პროგრამების ფარგლებში დატვირთულია საშუალოდ 5%-ით, რაც შესაძლებელს ხდის ერთ ცვლაში ოცმაგი, ხოლო ორში - ორმოცმაგი სამუშაო ადგილების გამოყენებისა. *შესაბამისად, „სკოლამდელი აღზრდისა“ და ზემოთ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის გამოყოფილი კომპიუტერული კლასი გამტარუნარიანია.*

პსდ-ში მოწყობილია ბიბლიოთეკა წიგნსაცავითა და სამკითხველო დარბაზით, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით (მაგიდები, სკამები, სტელაჟები), წიგნადი ფონდითა და ტექნიკით (9 კომპიუტერი, პრინტერი ასლის გადაღების ფუნქციით). სამკითხველო დარბაზში განთავსებულია 6 კომპიუტერი, ხოლო წიგნსაცავში 3, მათ შორის 2 მკითხველისათვის, ხოლო 1 - ბიბლიოთეკარისთვის. მთელ შენობაში უზრუნველყოფილია ინტერნეტთან წვდომა.

პსდ-ს საგანმანთლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიასთან, რომლის მმართველობაშიც შედის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (12.10.2022 წ.). ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მიზნად ისახავს პროფესიულ საგანმანათლებლო/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ ფარგლებში 20 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკით უზრუნველყოფას (ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი პ. 2.1. „ა“). პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოებასა და ხელშეწყობაზე, უზრუნველყოს პრაქტიკული კომპონენტის გატარება, მოდულების პრაქტიკული შედეგების დადასტურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მემორანდუმის თანახმად, პსდ-ს ხელმძღვანელი პრაქტიკის დაწყებამდე ორი კვირით ადრე წერილობით აცნობებს ხობის მუნიციპალიტეტის მერიას პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით, ხოლო პრაქტიკის განმახორციელებელი, მუნიციპალიტეტის ფარგლებში, გამოყოფს კონკრეტულ საბავშვო ბაგა–ბაღს/ბაღებს, სადაც პროფესიულ სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა დაეუფლონ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფარგლებში განსაზღვრულ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. კოლეჯი ვალდებულებას იღებს ასევე, წარუდგინოს აღნიშნულ პრაქტიკის ობიექტს მოდულების პრაქტიკული ნაწილის შედეგების დადასტურების გრაფიკი და კოლეჯის მხრიდან გამოყოს პრაქტიკის ხელმძღვანელი.

ვიზიტის დროს, შემოწმდა ხობის მუნიციპალიტეტის #1 საბავშვო ბაღი, რომელიც მემორანდუმის ფარგლებში მოიაზრება ერთ-ერთ პრაქტიკის ობიექტად. განხორციელდა გასაუბრება საბავშვო ბაღისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან. პოტენციური პრაქტიკის ობიექტი მატერიალური რესურსითა და აღსაზრდელთა ჯგუფების კატეგორიით სრულად უზრუნველყოფს ზღვრული რაოდენობის ფარგლებში სტუდენტთა მიღებას და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ბაგა-ბაღის პერსონალის მხრიდან გამოიკვეთა მზაობა და მაღალი მოტივაცია, დარგში მიმდინარე რეფორმებისა და მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან გამომდინარე. პროგრამის განხორციელების აქტუალობა და მზაობა მისი განხორციელების ხელშეწყობისთვის, აღნიშნა ასევე მუნიციპალიტეტის მმართველობის წარმომადგენელმაც.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია უვადოდ, თუმცა არ მოიცავს კონკრეტული ობიექტების/ლოკაციების ჩამონათვალს, სადაც მემორანდუმის ფარგლებში განხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამებისთვის საჭირო აქტივობები (იხ. ასევე 2.1.1.(4) პუნქტი).

<u>აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ბაგა-ბაღები თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობით, რესურსით და პროფილით უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.</u>

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
<u>სასურველია მემორანდუმს თან დაერთოს ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ნუსხა.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განხორციელების მიზნით, პსდ-ს განსაზღვრული ჰყავს 14 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან: 8 პროფესიული, ხოლო 6 ზოგადი მოდულებისთვის. მოდულების განხორციელებაში ჩართულია მინიმუმ 2 პირი.

პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება ანალოგიური პროგრამაზე სწავლებისა, რომელსაც ახორციელებენ კოლეჯის ფოთის მისამართზე. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან (ნ.ხ.) გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება, ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოჯიხევში საქმიანობის განხორციელების შესახებ, რომელიც ძალაში შევა საგანამათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შემდეგ. ძირითადი შრომითი ხელშეკრულებაში განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა, უფლება-მოვალეობები, განსახორციელებელი მოდული/მოდულები, ანაზღაურების, შვებულების, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესები და საკანონმდებლო მოთხოვნებით გათვალისწინებული სხვა არსებითი პირობები გარდა სამუშაოს შესრულების ადგილი. მისმართი დოკუმენტში მითითებულია დაწესებულების რეკვიზიტის სახით. პსდ-მ უზრუნველყოს შრომით ხელშეკრულებაში სამუშაო ადგილის მითითება. ასევე, გარკვეული უზუსტობაა პროგრამის განმახორციელებელი ადამინაური რესურსის შესახებ დანართში და შრომით ხელშეკრულებაში მითითებულ მოდულებთან დაკავშირებით. დანართით დარგობრივი კომპეტენციის მასწავლებლები, პროგრამის ფარგლებში არსებულ ყველა პროფესიულ მოდულს ახორციელებს, ხოლო ხელშეკრულებებში განსაზღვრულია კვალიფიკაციის/კომპეტენციის შესაბამისი კონკრეტული მოდულები.

ექსპერტთა მიერ შემოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის ბადე, სასწავლო ცხრილები. წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს (საშუალოდ კვირაში შეადგენს 9.6 სთ). პროფესიული განათლების მასწავლებლებთან განხორციელდა გასაუბრება, რომელბიც აცხადებენ მზაობას ხობის რაიონის სოფ. ნოჯიხევის ლოკაციაზე პროგარმის განხორციელებასთან დაკავშირებით.

კოლეჯის მიერ პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>

- *<u>პსდ-სა და პროფესიული განათლების მასწავლებლის შორის გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში, მითითებულ იქნას სამუშაოს შესრულების ადგილი ;</u>*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *პსდ*-მ უზრუნველყოს ტექნიკური უზუსტობის აღმოფხვრა და შესაბამისობაში მოიყვანოს დანართი შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ჩანაწერთან.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ექსპერტთა მიერ, შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, კვალიფიკაციის/დარგობრივი მოდულის სწავლის შედეგების შესაბამისი ნებართვის/სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია პსდ-ის შინაგანაწესში (მუხლი 7), რომლის თანახმად კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს შესაბამისი უმაღლესი ან/და პროფესიულ-ტექნიკური განათლების მქონე პირი, ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის მინიმუმ 3 წლის გამოცდილება. პერსონალი შერჩეულია დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

   განმახორციელებელ პირები ჩართულები იყვნენ საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში. შემოწმებისა და გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას.

   პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც ასევე დასტურდება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის უფლება–მოვალეობები განსაზღვრულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით (№03/52, 25.10. 2022) რომლის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელმა უნდა იზრუნოს პროგრამის ადაპტირებაზე, კალენდარული გეგმების, შეფასების ინსტრუმენტების და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების შემუშავებაზე, საგანმანათლებლო პროგრამის მასაწავლებლებთან კოორდინირებით.

   პროგრამის ხელმძღვანელის ვალდებულებები გაწერილია ასევე „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“-ში, რაც ეხება საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების ინიცირებას (პ. 6.2.) და მოდიფიცირებული პროგრამის დასამტკიცებლად წარდგენას (პ.9), პროგრამის გაუქმების/შეცვლის შემთხვევაში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტის მიერ არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მოდულებს შორის შესაბამისობის დადგენა (პ. 8.3.) სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები ჩამოყალიბდეს ერთიანი დოკუმენტის სახით ან ქვეთავის/მუხლის პსდ-ს შესაბამისი შინაარსის რეგულაციაში.

პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისა და მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილს. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია როგორც კონკრეტული მოდულების განხორციელების, ისე პროგრამის ადმინისტრირების პროცესებში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი (ბეჭდური და ელექტრონული) განთავსებულია ბიბლიოთეკაში. დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის ყველა კომპიუტერში, პსდ-ს ვებ-გვერდზე ინტეგრირებულია საბიბლიოთეკო საძიებო სისტემა „Open Biblio".

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შერჩევითი წესით გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული რესურსი. სასწავლო რესურსის დიდი ნაწილი, ხელმისაწვდომია ინტერნეტ სივრცეში, თუმცა მოდულებში მითითებული არაა ელექტრონული მისამართები. სასწავლო რესურსზე წვდომის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს, ელექტრონული მისამართების მითითება.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
<u>საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს სასწავლო რესურსის ელექტრონული მისამართების მითითება მოდულების ჩანაწერებშიც.</u>

6. პსდ აქვს პრაქტიკა სხვა საგანმანთლებლო პროგრამების ფარგლებში გაეწია სსსმ/შშმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურება, მათ შორის უზრუნველეყო კოლეჯის ინფრასტრუქტურის და საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა. პსდ-ს შიდა რეგულაციებით გაწერილია სასწავლო რესურსების ადაპტირების (შინაარსობრივი, ვიზუალური), დამატებითი მომსახურების მიწოდების (სპეციალისტების ჩართვა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების და სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სერვისების მიწოდების წესები, რომლებიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის/სსსმპ/შშპ ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

ფაქტობრივი გარემოების დადგომის შემთხვევაში, დაწესებულებაში არსებული გარემო უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. ფინანსურად მდგრადია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტი მაჩვენებლების მიხედვით. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროებია: პროგრამული და პროფესიულ სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსება.

   პროგრამის განხორციელების ხარჯები მოიაზრებს: მასწავლებლის შრომის ანაზღაურებასა ,სასაწავლო მიზნით გაწეული ხარჯები, ადმინისტრირებისა და კომუნალური ხარჯები. პროგრამის რენტაბელობის ზღვარია 10 პროფესიული სტუდენტი, თუმცა დოკუმენტში არაა განსაზღვრული თანხა რენტაბელობის ფარგლებში. პროგრამის ბიუჯეტი დაანგარიშებულია მოთხოვნილი კვოტის ფარგლებში. უშუალოდ პროგრამა რამე სპეციფიკურ რესურსებსა და ხარჯებს არ მოითხოვს, შესაბამისად, პროგრამის სპეციფიკისა და პსდ-ს ბიუჯეტის ანალიზი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს ბიუჯეტის შედგენის, მასში ცვლილების განხორციელების პროცედურა, *რენტაბელობის განსაზღვრის* და ასევე განსაზღვროს რენტაბელობის ფარგლებში ბიუჯეტის ოდენობა, რაც ფინანსურად მეტად მდგრადს გახდის პროგრამის განხორციელებას.

<u>**განმავითარებელი რეკომენდაცია**</u>

- <u>*სასურველია შემუშავდეს პროგრამის ბიუჯეტის შედგენის, მასში ცვლილების განხორციელების წესი, სადაც ასევე აისახება სავარაუდო ხარჯების იდენტიფიცირების, რენტაბელობის განსაზღვრის და პროგრამის ბიუჯეტის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მექანიზმები, რაც ერთგვაროვანს გახდის პსდ-ს მიდგომას, პროგრამის ბიუჯეტისთვის ხარჯების იდენტიფიცირება-პროგნოზირებას*</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
2. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (18.10.2022 წ.)
3. ქონების გადაცემის მიღება-ჩაბარების აქტი (18.06.2016)
4. კომუნალური მომსახურების გადახდის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები
5. შპს „ორდუნეტ“-თან გაფორმებული ინტერნეტ მომსახურების ხელშეკრულება
6. სასაქონლო ზედნადები სახელმძღვანელოების შეძენის შესახებ
7. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები
8. სსიპ კოლეჯ „ფაზისის“ შინაგანაწესი
9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ დანართი 2 „ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ“
10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ მეცადინეობის განრიგი/სასწავლო ცხრილი.
11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ სასწავლო გეგმა.
12. სსიპ კოლეჯ „ფაზისის“ დირექტორის ბრძანება №01/12 „2021 წლის მიღების ჯგუფების პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტარიფიკაციის დამტკიცების შესახებ სსიპ კოლეჯში ფაზისი დირექტორის 2021წლის 05 ნოემბრის 01/114 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (03.02.2023)
13. სსიპ კოლეჯ „ფაზისის“ დირექტორის ბრძანება №03/52 პროგრამის ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ (25.10.2022)
14. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია
15. პსდ-ს ბიბლიოთეკის ფონდი, ინვენტარიზაციის წიგნი, მკითხველის ბარათები.
16. პსდ-ის პროგრამის დამატების შესახებ განაცხადის დანართი 5 „პროგრამის ბიუჯეტი“
17. ვიზუალური დათვალიერებისა და პერსონალთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის განვითარების მექანიზმები კოლეჯს აგებული აქვს დემინგის ციკლის პრინციპის გათვალისწინებით, რაც დოკუმენტირებულია შიდა რეგულაციაში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ (პ.7.). წესის თანახმად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს პროცესებს: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება; სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა; მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება; ვერიფიკაცია. პროგრამის განვითარების მექანიზმები ასევე გულისხმობს დაინტერესებული მხარეების (მასწავლებლები, ინსტრუქტორები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვას, განხორციელებული შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს განვითარების რეკომენდაციებს და წარადგენს კოლეჯის დირექტორთან შემდგომი რეაგირებისთვის. აღნიშნული მექანიზმები ასევე მოიცავს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში პსდ-ს მიერ პროგრამების გაუმჯობესების/ცვლილებების შესახებ წინადადებების ინიცირებას.

<u>პსდ-ს ხარისხის მენეჯმენტი სერტიფიცირებულია ისო 9001:2015 სტანდარტთან შესაბამისობაზე. სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების ავტორიზაციის სტანდარტებთან ინტეგრირება/თავსებადობა და ერთიანი ხარისხის მართვის სისტემის ფორმირება, ისე რომ 9001:2015-ით განსაზღვრულმა პროცედურებმა (დაგეგმვა, ცვლილებების განხორციელება, მონიტორინგი, აუდიტი, მომსახურებაში ჩართული მომწოდებლის შეფასება, მომხმარებელთა/დაინტერესებულ მხარეებთან უკუკავშირი და ა.შ.) მოიცვას აღნიშნული პუნქტის მოთხოვნებიც.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების „შინაგანაწესის“ მე-6 მუხლით ასევე განსაზღვრულია სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და ანგარიშვალდებულებაზე, ასევე ხარისხის მართვის სისტემის მუშა მდგომარეობაში შენარჩუნების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები. სასწავლო პროცესის მონიტორინგზე პასუხისმგებელია დირექტორის მოადგილე (6.1.), ხოლო ხარისხის მართვის სისტემაზე კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი (6.2.). პსდ-მ სასურველია განსაზღვროს ასევე გამოკითხვის სიხშირე/პერიოდულობა, პროცესზე პასუხისმგებელი პირი/პირები.

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას.

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>

- *<u>სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ისო 9001:2015 სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების პსდ ავტორიზაციის სტანდარტებთან ინტეგრირება და ერთიანი ხარისხის მართვის სისტემის ფორმირება;</u>*
- *<u>სასურველია, პსდ-მ განსაზღვროს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის სიხშირე/პერიოდულობა, პროცესზე/პროცესებზე პასუხისმგებელი პირი/პირები.</u>*

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების წესი დოკუმენტირებულია შიდა რეგულაციაში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ (პ.6.). პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს, კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციას და სხვა დაინტერესებულ პირებს.

პსდ-ს მიერ წარმოდგენილ „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებულია ცვლილება, პროგრამის განხორციელების ადგილის ცვლილებასთან დაკავშირებით. ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ გამოცემული ბრძანება და განხორცილებული პროცესი. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილება განხორციელებულია პსდ-ს შიდა პროცედურის დაცვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია
2. სსიპ კოლეჯი „ფაზისი“-ს დირექტორის ბრძანება №01/01 „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ საგანმანათლებლო პროგრამაში „სკოლამდელი აღზრდა“ ცვლილების შეტანის შესახებ (10.01.2023 წ.)
3. გამოკითხვის ანკეტები და შედეგები
4. სსიპ კოლეჯი „ფაზისი“-ს შინაგანაწესი
5. ფაქტობრივი გარემოება და გასაუბრების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „სკოლამდელი აღზრდა“ თან ახლავს ორი სასწავლო გეგმა - ქართულენოვანი და არა ქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. გეგმა გაწერილია 2 აკადემიურ წელზე - არა ქართულენოვანი კონტიგენტისთვის პროგრამის ხანგრძლივობაა 21 სასწავლო თვე/83 სასწავლო კვირა (146 კრედიტი), ხოლო არაქართულენოვანი კონტიგენტისთვის 26 სასწავლო თვე/105 სასწავლო კვირა (116 კრედიტი).

საგანმანათლებლო პროგრამით კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები და არსებობის შემთხვევაში განმეორებითი დადასტურებისთვის გონივრული ვადები.

ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა ქ. ფოთში მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან. გასაუბრება განხორციელდა ასვე პროგრამის პროფესიულ სტუდენტებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. ***პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.***

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პსდ-ს აქვს დისტანციური სწავლებისა და ისგ-ს შემუშავების პრაქტიკა. საჭიროების შემთხვევაში პსდ ისგ-ს ადგენს პროფესიულ სტუდენტის ან/და კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით, სტუდენტის საჭიროებაზე მორგებულ ისგ-ს, რომლშიც ასახულია მოდულების, პროფესიული მასწავლებლების, საკონტაქტო საათების რაოდენობის და განხორციელების გრაფიკის შესახებ ინფორმაცია. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა პსდ-ში შემუშავებული ისგ-ის დოკუმენტაცია. ისგ შემუშავებულია პსდ-ს რეგულაციებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

ვიზიტის დროს გასაუბრება განხორციელდა ასვე სტუდენტებთან და ადმინისტრაციასთან. პსდ-ს მიერ პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე რეაგირებისა და შესაბამისი მომსახურების გაწევას ადასტურებენ პროფესიული სტუდენტებიც. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ დამატებითი კონსულტაცია, ინფორმაცია საგანმანათლებლო სერვისებთან და პროგრამასთან დაკავშირებით, როგორც ადმინისტრაციისგან, ისე პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, დამატებითი საათების განმავლობაში, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით.

ადმინისტრაციის განმარტებით, საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ სტუდენტებისთვის პსდ მზადაა პროგრამის განხორციელების მათზე მორგებული განრიგი (დღის მეორე ნახევარი, შაბათი დღე) შესთავაზოს, გამომდინარე იქედან, რომ პროფესიული სტუდენტები ძირითადად სკოლამდელი დაწესებულების პერსონალია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გასაუბრებისას, მზაობა გამოთქვეს ასევე მასწავლებლებმაც.

<u>პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.</u>

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლებისა და სააღმზრდელო დარგის შესაბამისი თანამედროვე მეთოდების/ტექნოლოგიების გამოყენებას, რასაც ასევე ადასტურებს პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები. განმახორციელებელი პირები თავად აქვთ ტრენინგები გავლილი ადრეული განათლების სწავლების მეთოდოლოგიებში და და იყენებენ პრაქტიკულ საქმიანობაში. სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება დადასტურდა ასევე განმახორციელებელ პირებთან და ფოთის „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრებით. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენებენ პრეზენტაციას, დისკუსიას, გუნდურ და ინდივიდუალურ მუშაობას. თუმცა, საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულია მხოლოდ „ინტერაქტიული ლექცია“, „სემინარი“, „პრაქტიკული მეცადინეობა“. ხოლო სწავლების მიდგომის აღწერა, ძირითადად აგებულია ლექციაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერაქტიული ლექცია და სემინარია მითითებული მოდულში“ *გაცნობითი პრაქტიკა – სკოლამდელი აღზრდა - 0211718“ (კრედიტების რაოდენობა - 2), რომლის სწავლის შედეგის „**ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპების აღწერა“,** შინაარსიც მოიცავს კონკრეტული ორგანიზაციის შინაგანაწესის, პროცედურების, ორგანიზაციის პოლიტიკის, სტრუქტურის, მოქმედი უსაფრთხოებისა და ჰიგიენის წესების, სამუშაო გარემოს მოწყობის ძირითად პრინციპების და არსებული საგანმანათლებლო პროცესის აღწერას. აღნიშნული მეთოდები ვერ უზრუნველყოფს სრულყოფილად სწავლის შედეგების მიღწევას, სასურველია დაემატოს „სასწავლო ვიზიტი/ექსკურსია“ ან სხვა მისაღწევი სწავლის შედეგის შინაარსის შესაბამისი მეთოდი.*

სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება ელ რესურსები. პრაქტიკული კომპონენტისთვის შერჩეულ ობიექტებს ჰყავს აღსაზრდელების ყველა ასაკის ჯგუფი, რაც უზრუნველყოფს სააღმზრდელო პროცესის ყველა სპეციფიკაციის გაცნობა-დაუფლებას.

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>
<u>საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების განხორციელების მიდგომებსა და სწავლების მეთოდებში სასურველია აისახოს სწავლების ის მეთოდები, ტექნოლოგიები, რასაც რეალურად განხორციელების პროცესში იყენებენ პედაგოგები.</u>

4. **კოლეჯს აქვს, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები გათვალისწინების, კარგი პრაქტიკა. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პსდ-ს მიერ შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.** ისგ შედგენილია კოლეჯის მიერ შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის თანახმად (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, მუხლი 18). პსდ-ს მიერ შემუშავებული ისგ უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებები. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს როგორც შშმ, ისე სსსმ პროფესიულ სტუდენტები უზრუნველყოს სხვადასხვა სერვისებით, როგორიცაა მობილობის (მუხლი 7), სტატუსის შეჩერების/აღდგენის პროცედურა (მუხლი. 5), ფორმალური განათლების აღიარების პროცედურები (მუხლი 20), რომელთა შემთხვევაშიც ითვალისწინებს ისგ-ს შემუშავებას. პროფესიული სტუდენტების საჭიროების შემთხვევაში, გამოყოფს სივრცეს/საათებს ჯგუფური და დამატებითი მეცადინეობებისთვის. ადგენს კონსულტაციების განხორციელების თარიღებს. დამატებითი შეხვედრებისა და კონსულტაციების განხორციელებას ადასტურებენ პროფესიული სტუდენტები და მასწავლებლებიც.

წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ პსდ-ს ადმინისტრაციის მიერ, **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით/ხელშეკრულებით,** ასევე გასაუბრებით, შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ითვალისწინებს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ვალდებულებებს და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის აუცილებელი რესურსის გამოყოფას (სკოლამდელი აღზრდის საგანმანათლებლო პროგრამა არ საჭიროებს დიდი რაოდენობით სახარჯ მასალებს გარდა საკანცელარიო მასალებისა). ხელშეკრულება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობას. ხელშეკრულებებით განსაზღვრულია პრაქტიკის ობიექტზე მისაღები პროფესიული სტუდენტების კვოტა. დათქმას მუნიციპალიტეტთან 2 კვირით ადრე შეთანხმებას, საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების სხვა არსებითი მოთხოვნების შესახებ.

   პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებებთან თანამშრომლობის ამსახველი მასალები ასევე განთავსებულია კოლეჯის ვებ და სოციალური ქსელის გვერდებზე (http://phazisi.edu.ge ; https://www.facebook.com/phazisi.edu.ge/?locale=ka_GE)

6. სასწავლო პროცესი სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რასაც უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი (შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების მენეჯერი). აღნიშნული საკითხების მართვისთვის, პსდ-ს შემუშავებული აქვს „პროფესიული ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა“, ყველა აუდიტორიაში განთავსებულია პირველადი დახმარების ყუთები, შესაბამისი კომპლექტაციით. შენობა-ნაგებობაში განთავსებულია პირველადი სახანძრო საშუალებების, განთავსებულია ასევე საევაკუაციო გეგმები, მიმმართველები და საგანგებო/კრიზისული სიტუაციების გეგმა (SOP – 001 – 06).

   შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების სამსახურის მიერ ხორციელდება სასწავლო/სამუშაო გარემოს სისტემატური მონიტორინგი, შეფასებულია კოლეჯში საფრთხის წარმოშობის პოტენციური წყაროები საგანმანთლებლო პროგრამების სპეციფიკისა და ზოგადი ეკოლოგიური ასპექტების, მათი აღმოფხვრისა და პრევენციული ღონისძიებების გათვალისწინებით. შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების მენეჯერის მიერ საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით ხორციელდება ინსტრუქტაჟი პსდ-ს პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისთვის. რაც ასახულია შესაბამისი ინსტრუქტაჟის განხორციელების შესახებ ჟურნალში. სწავლებისა და ინსტრუქტაჟის ამსახველი ინფორმაცია და ფოტო-მასლა განთავსებულია ასევე პსდ-ს სოციალურ ვებგვერდზე.

შესწავლილი დოკუმენტაციითა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დასტურდება, რომ პსდ-ში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ მიერ შემუშავებული ისგ და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია
2. სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დანართებითურთ (მოდულები, სასწავლო გეგმები)
4. ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასთან ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება
5. ხობის მუნიციპალიტეტის მერიასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
6. კოლეჯის „ფაზისი და ქ. ფოთისა და ხობის მუნიციპალიტეტების კორესპონდენცია
7. სსიპ კოლეჯში „ფაზისი“ შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჩატარების შესახებ ჟურნალი
8. სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ პროფესიული ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა
9. საგანგებო/კრიზისული სიტუაციების გეგმა SOP – 001 - 06
10. პსდ-სა და პრაქტიკის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები
11. დაწესებულების ვებ და სოციალური ქსელის გვერდები
12. პასუხისმგებელ პერსონალთან გასაუბრებისა და ვიზუალური დათვალიერების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ყველა ფორმის სპეციფიკისა და საკანონმდებლო მოთხოვნებით გათვალისწინებით შეფასების წესი, მათ შორის, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნები. მარეგულირებელ წესშივე აქვს განსაზღვრული შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, წარდგენისა და ვალიდაციის პროცედურა.

შეფასების სისტემით განსაზღვრულია უარყოფითი შეფასების/დადასტურებისა და არასაპატიოდ/საპატიოდ გაცდენის გარემოებები, მათ შორის ის შემთხვევა, როდესაც მოდული წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას. განმეორებითი შეფასებაზე გასვლისთვის განსაზღვრულია 10 დღე. ხოლო დაშვების წინაპირობის არსებობისას, პროფესიულ სტუდენტს უფლება სწავლის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი, ხოლო თუ მოდულის დაწყება არ არის შემჭიდროვებული ვადებში, სტუდენტს უფლება აქვს მოდულის დაწყებამდე ნებისმიერ დროს განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი. კოლეჯი უშვებს გარემოებას, რომ *„განმეორებითი შეფასებისას შესაძლებელია უკვე გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება“* (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, მუხლი 15, პ. 13[2]). ექსპერტთა აზრით შეფასების სისტემის პრინციპებიდან გამომდინარე, სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს სხვა შეფასების ინსტრუმენტის/ვარიანტის შეთავაზება.

პსდ-ს შიდა მარეგულირებელი წესით, პროფესიული სტუდენტის ინფორმირების ვალდებულება, შეფასებისა და მისი შედეგების შესახებ, აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელს. განსაზღვრულია შეფასების შედეგების შეტყობინების ვადებიც. წესში გაწერილია გასაჩივრების პროცედურაც (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, მუხლი 16), რომლის თანახმად „***საჩივარი, რომელიც მოკლებული იქნება არგუმენტირებულ დასაბუთებას, არ განიხილება. გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დატოვების შესახებ გასაჩივრებას არ ექვემდებარება“- *აღნიშნული ჩანაწერით ირღვევა* პროფესიული სტუდენტის უფლებები. სტუდენტს აქვს კოლეჯის ნებისმიერი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება. ***წესის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტის ნაშრომი ფასდება ერთი შემფასებლის მიერ და პროფესიული სტუდენტი არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას, დირექციის დავალებით შესაბამისი ნაშრომის შეფასება ევალება კოლეჯის ამავე დარგის სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელს -*** ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, საჩივრის განხილვა სასურველია ხდებოდეს კოლეგიური წესით.

პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია:</u>

- *<u>შეფასების პროცესის სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს განმეორებითი შეფასებისას განსხვავებული ინსტრუმენტის/სხვა ვარიანტის შეთავაზება;</u>*
- *<u>სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს საჩივრის კოლეგიური წესით განხილვა ;</u>*
- *<u>რედაქტირდეს ჩანაწერი შეფასების შედეგების გასაჩივრების წესში და პროფესიულ სტუდენტს მიეცეს პსდ-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება.</u>*

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. პროცედურა ითვალისწინებს ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებისთვის, შესაბამისი ადამიანური რესურსის შერჩევას ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით. ვერიფიკაციის მიზნით, დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი. ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას. ვერიფიკაციისას გამოყენებულია რისკ-ფაქტორების გამოვლენა (რეესტრი), რომელიც აფასებს ისეთ გარემოებებს როგორიცაა დამწყები პროფესიული მასწავლებლები შემთხვევები, როდესაც შეფასებისას გამოყენებულია ბევრი პრაქტიკული დავალება ან ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად რამდენიმე სწავლის შედეგი ფასდება.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას წესი გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (მუხლი 15). პსდ-ში დადგენილი რეგულაციის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომები ინახება, სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერებთან, მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით. შენახვის ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება საქმისწარმოების ერთიანი წესების მოთხოვნათა შესაბამისად. ხოლო, პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა შეფასების უწყისებს, ინახება უვადოდ (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, მუხლი 49). შეფასების ინსტრუმენტები, უწყისები იდენტიფიცირებულია, აღირიცხება სპეციალურ რეესტრებში.

დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მტკიცებულებები ინახება დადასტურების კომისიის ოქმის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც მონაცემები არქივდება და ინახება 5 წლის განმავლობაში (პ.4.13).

4. ***პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.*** პსდ-ს შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება ხორციელდება სისტემატურად და შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. შეფასების შედეგების მიწოდება ხდება ინდივიდუალურად. შეფასების შემდეგ, მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ შედეგებს. რის საფუძველზეც სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი და რეკომენდაციები. ადმინისტრაციასთან და პროფესიული მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ აქტიურად იყენებენ ონლაინ უკუკავშირსაც სოციალურ ქსელში შექმნილ ჯგუფებთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
2. შეფასების მტკიცებულება („სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული პროგრამის მოდული „კომუნიკაცია, ენა, მეტყველება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში“, ჯგ. 521, შეფასების თარიღი 25.11.2022)
3. სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ დირექტორის ბრძანება №01/04 „ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ“ (20.01.2023)
4. პსდ-ის პერსონალთან გასაუბრების შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	15
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	

დასაბუთება

……
……
……
……
……

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
16.03.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: